ღირსეულად შევასრულოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი!

С ЧЕСТЬЮ ВЫПОЛНИМ РЕШЕНИЯ ЯНВАРСКОГО ПЛЕНУМА ЦК КПСС!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კомიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთების 41-ე წელი № 31 (11945) | ორშაბათი, 6 თებერვალი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს თბილისში მუშაობას იწყებს ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი

მხურვალე სალამი თათბირის მონაწილეებს!

საქართველოში მყოფი ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ესტუმრა გურჯაანის რაიონს. სურათზე: სოფელ კაჭრეთის მშრომელები გულთბილად ხვდებიან ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

ერთად, გეზი შუქურებისაკენ!

თბილისში, მთელ საქართველოში დღეს განსაკუთრებული გამოცოცხლებაა. დედაქალაქის გულში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობას დაიწყებს ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

რა გაკვეთდა, რა გვაკლია, რა არის გასაკეთებელი? — აი საკითხები, რომელთა შესახებ იმსჯელებენ, აზრს გამოთქვამენ, მომავლის პერსპექტივებს ერთად დასახავენ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, ნოვატორები, ორგანიზატორები.

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა თათბირზე ჩამოიტანეს ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი განძი — საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებისადმი მეგობრობისა და სიყვარულის წრფელი გრძნობები.

თათბირის მონაწილეებს ხელთ აქვთ უდიდესი გამოცდილება, სწორუპოვარი სახელმძღვანელო — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამ პლენუმზე ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა. პარტიის იანვრის პლენუმმა ყოველმხრივ განიხილა სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობა და შეიმუშავა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი განვითარების კონკრეტული პროგრამა. პლენუმის დადგენილებებში, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლაში ღრმად განზოგადებულია სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლის გამოცდილება, გამოვლინებულია მისი დაუშრეტელი შესაძლებლობანი, ლენინურად, მკვეთრად მხილებულია ნაკლოვანებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობაში, ზუსტად განსაზღვრულია მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების გზები.

როგორც მთელ ჩვენს დიდ სამშობლოში, ისე საქართველოშიც სოფლის მშრომელებმა შარშან დაძაბულად იმუშავეს. მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ რაიონებში ამინდის არახელსაყრელი პირობები იყო, წარმოებულ იქნა მეტი მარცვლეული, ჩაი, ციტრუსები, ბოსტნეული. შესყიდულია უფრო მეტი ხორცი, რძე, კვერცხი, ვიდრე 1959 წელს. და თუ მაინც მეტი გვინდა, ეს იმიტომ, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში გაიზარდა მოსახლეობა, გადიდდა მშრომელთა შემოსავალი. ამან მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნილება სურსათზე, პირველ რიგში ხორცზე, რძეზე, კარაქზე. ყოველივე ეს გვავალებს არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით, არ დავმშვიდდეთ, მუდამ დაძაბულად ვიბრძოლოთ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, ვეძებდეთ ახალ-ახალ მეთოდებსა და ხერხებს მოსავლიანობის გასაადიდებლად.

ახლა ყველასათვის ნათელია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებაში გვაქვს სერიოზული წარმატებები. მაგრამ ამავე დროს, როგორც ეს პარტიის იანვრის პლენუმზე აღინიშნა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მიღწეული დონე და ზრდის ტემპები, განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქტებისა, საკმარისი არ არის. შეუძლებელია არ ვხედავდეთ, რომ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოება ჯერ კიდევ როდი ვითარდება ისეთი სწრაფი ტემპებით, როგორც მრეწველობა, რომ იგი ჩამორჩება ინდუსტრიის მძლავრ წინსვლასა და მოსახლეობის მოთხოვნილების ზრდას.

„ამიტომ სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები, — აღნიშნა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა იანვრის პლენუმზე, უნდა იყოს ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში. თუ არ გვექნა კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობა, თუ არ გვექნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე, ისე შეუძლებელია გვაძლიოს აყვავებული სოციალისტური მკონომიკა.

ბრძოლა სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობისათვის კომუნისტური საზოგადოების აშენების უმნიშვნელოვანესი პირობაა, ამშენებლობა საყოველთაო-სახალხო საქმეა“.

პარტიის იანვრის პლენუმზე კრიტიკის ცეცხლი მიმართული იყო განსაკუთრებით ისეთი ხელმძღვანელების წინააღმდეგ, რომლებმაც წლის დამდეგს იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი, მაგრამ არ განამტკიცეს ეს ვალდებულებანი ორგანიზატორული შუამბრძოლობით და მათი სიტყვა შეუსრულებელი დარჩა. პლენუმმა დაგმო აგრეთვე ისეთი ცალკეული მუშაკები, რომლებიც ცდილობდნენ დაემალათ თავიანთი უმოქმედობა და ქმნიდნენ მოჩვენებითი კეთილდღეობის ილუზიებს, ციფრებს ათამაშებდნენ, ატყუებდნენ სახელმწიფოს, მიდიოდნენ თვალისაბვეფის დანაშაულებრივი გზით.

ცხადია, ახლა, როცა სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში, მათ შორის სოფლის მეურნეობაშიც, მოპოვებულია დიდი წარმატებები, პარტია, ხალხი არ მოითმენენ ასეთ მახინჯ მოვლენებს, ისინი ძირშივე უნდა აღმოიფხვრას.

პარტიის იანვრის პლენუმმა სამართლიანად აღნიშნა, რომ საქართველომ, რომელიც თავისი კლიმატური პირობების მიხედვით სპეციალიზებულია სუბტროპიკული და ძვირფასი ტექნიკური კულტურების წარმოებაში, ამასთან თავისი წვლილი უნდა შეიტანოს აგრეთვე კვების ძირითადი პროდუქტების — პურის, ხორცის, რძის წარმოებაში, ყველა შესაძლებლობა გამოიყენოს ამ პროდუქტების წარმოების გასაადიდებლად. საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე დასახულია ამოცანა — მიჰყიდონ 1961 წელს სახელმწიფოს 10 მილიონი ფუთი მარცვლეული, ხოლო შვიდწლედის ბოლოსათვის გაადიდონ იგი 15 მილიონ ფუთამდე.

ეს ამოცანა წარმატებით შესრულდება, თუ ჩვენ ფარმოებების თუნდაც ნაწილზე მოვიყვანთ სიმინდის ისეთ მოსავალს, როგორიც ჩვენს მოწინავე კოლმეურნეობებს მოჰყავთ.

ახლა მთავარია მარცვლეულის, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების ღონისძიებათა შემუშავება განვახორციელოთ ქვემოდან, დაწყებული ბრიგადით, ფერმით. კოლმეურნეობით, საბჭოთა მეურნეობით, ისე რომ ამ დიდ საქმეში ფართო მონაწილეობა მიიღონ კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა.

უნდა ავამოქმედოთ ყველა რეზერვი იმისათვის, რომ მივიღოთ სიმინდის უხვი მოსავალი, გავზარდოთ პირუტყვის, განსაკუთრებით ძროხის სულადობა, ყოველმხრივ განვავითაროთ მეღორეობა და შეფრინველეობა, შევქმნათ მტკიცე საკვები ბაზა.

ყველაზე მძლავრი, ყველაზე „დიდი რეზერვია მოწინავეთა გამოცდილების დანერგვა. ნოვატორთა მიღწევები, მათი მუშაობის კარგი მაგალითი ის შუქურაა, რომელიც გვიჩვენებს გზას ყოველ მეურნეობაში წარმოების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი დასახავს ამოცანას, გზებსა და საშუალებებს იმისათვის, რომ მაღალ დონეზე იქნას აყვანილი ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობა, გაძლიერდეს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა სოფლად, დაირაზმონ მასები მოწამოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად.

მხურვალე სალამი ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეებს.

ერთად, გეზი შუქურებისაკენ, ამხანაგებო!

ნ. ს. ხრუშჩოვის მისალმება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აფრიკის ეკონომიური კომისიის სესიის მონაწილეებისადმი

მოსკოვი, 5 თებერვალი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა გაგზავნა ადის-აბებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აფრიკის ეკონომიური კომისიის სესიის თავმჯდომარის სახელზე მისასალმებელი წერილი, რომელშიც სთხოვს გადასცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აფრიკის ეკონომიური კომისიის მესამე სესიის მონაწილეთ საბჭოთა კავშირის ხალხების, სსრ კავშირის მთავრობისა და პირადად მისი გულითადი სალამი და საუკეთესო სურვილები.

წერილში აღნიშნულია, რომ ახლა უკვე მთელი მსოფლიო, გარდა ერთი მუჭა კოლონიზატორებისა, აღიარებს, რომ სამართლიანი და კანონიერია ბრძოლა, რომელსაც აფრიკის დიდი კონტინენტის ხალხები ეწევიან თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. აფრიკის ხალხები, რომელნიც თავდადებით იბრძვიან კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ამავე დროს აშენებენ თავიანთ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს და ისწრაფვიან უზრუნველყონ თავიანთი ქვეყნების ეკონომიკის აღმავლობა, ცხოვრების დონის ამაღლება, სოციალური პროგრესი.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ყოველგვარ წარმატებას უსურვებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აფრიკის კომისიას მის დიდმნიშვნელოვან კეთილშობილურ საქმეში — ხელი შეუწყოს აფრიკის ქვეყნების ეკონომიურ აღმავლობას.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

იტალიის მთავრობისადმი

ამას წინათ სსრ კავშირის ელჩი იტალიაში ს. პ. კოზირევი ეწვია იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. სენიის და საბჭოთა მთავრობის დავალებით განცხადება გაუკეთა სარდინიის კუნძულზე დასავლეთ გერმანიის ჯარების ქვედანაყოფთა განსალაგებლად სამხედრო ბაზის დათმობასთან, აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთ გერმანიას ნება დაერთო რაკეტული პოლიგონი ამ კუნძულზე გამოიყენოს სასწავლო-საწვრთნელი მიზნებისათვის.

დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალებისათვის იტალიის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების დათმობით, აღნიშნულია საბჭოთა მთავრობის განცხადებაში, იტალიის მთავრობა კიდევ ერთ საშიშ ნაბიჯს დგამს და ამით ხელს უწყობს დასავლეთგერმანელი რევანშისტების შეიარაღებული ძალების აღდგენას.

მიაპყრობს რა აღნიშნულ ნაბიჯს იტალიის მთავრობის ყურადღებას, საბჭოთა მთავრობა, ნათქვამია განცხადებაში, ხელმძღვანელობს ერთადერთი სურვილით — ხელი შეუწყოს იმას, რომ ისეთი არაფერი მოხდეს, რაც ხელს შეუშლის სახელმწიფოთა ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, აგრეთვე საბჭოთა კავშირი-იტალიის ურთიერთობის გაუმჯობესება, ურთიერთობისა, რომელსაც საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ა. სენიმ თქვა, რომ გაკეთებული განცხადების შინაარსს აცნობებს იტალიის მთავრობას.

(საკდესი).

კალინოვკა—ბოლნისი

მეგობროგის გარათი



ვ. ბრაჩოვი.

ამ ორიოდე წლის წინათ, 1959 წლის 25 მაისს, ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაცია ჩავიდა კურსკის ოლქის ხომუტოვკის რაიონის სოფელ კალინოვკაში სოციალისტური შეჯიბრების გასაჩაღებლად. ბოლნისელები ოთხი დღე იყვნენ ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვის სამშობლო სოფელ კალინოვკაში, ბევრი რამ ნახეს და ბევრი რამ გაგვეს.

იანვრის პლენუმზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა: „კალინოვკაში შობამდე საკუთარი პური ყველა გლეხს როდი ჰყოფნიდა. ამიტომ ადამიანები მიდიოდნენ მაღაროებში, ქარხნებში, სადაც გნებავთ, ოღონდ გასცილებოდნენ სოფელს, რადგანაც მშობლიურ სოფელში საჭმელი არაფერი ჰქონდათ. ახლა კი ნახეთ, რა გაკეთეს ადამიანებმა იმავე მიწებზე. საბჭოთა ხელისუფლებამ მათ შესაძლებლობა მისცა უზრუნველყოთ წარმოების ასეთი ზრდა და თავიანთი კეთილდღეობის ასეთი გაუმჯობესება“.

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ, ამ რამდენიმე დღის წინათ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ეწვია სოფელ კალინოვკას. გაეცნო იმ სასიხარულო წარმატებებს, რომლებიც კალინოვკელებს აქვთ მოპოვებული საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგში. კალინოვკელმა კოლმეურნეებმა კორესპონდენტს გამოატანეს წერილი, რომელსაც ვაქვეყნებთ.

საქართველოს სსრ, ბოლნისის რაიონი, სტალინის სახელობის კოლმეურნეობა,

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს

ა. ხიდაშელს,

პარტორგანიზაციის მდივანს

შ. სილაგაძეს.

კურსკის ოლქის ხომუტოვკის რაიონის სოფელ კალინოვკის კოლმეურნეობის გამგეობა, პარტორგანიზაცია და ყველა კოლმეურნე მხურვალე სალამს გიგზავნით, ძვირფასო მეგობრებო!

პარტიის XXI ყრილობის დადგენილებებით, იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებითა და თვით ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვის რჩევა-დარიგებებით აღფრთოვანებულმა კალინოვკელმა კოლმეურნეებმა ავწონ-დაწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი, გამოუყენებელი რეზერვები და გადავწყვიტეთ 1961 წელს, შვიდწლედის მესამე წელს, ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე ვაწარმოოთ 600 ცენტნერი რძე და 130 ცენტნერი ხორცი. ყოველ ჰექტარზე სიმინდს გარდა მოვიყვანოთ 22 ცენტნერი მარცვლეული, მივიღოთ ერთი მილიონ ორასი ათასი მანეთი (ახალი ფულით) შემოსავალი.

ძვირფასო მეგობრებო, გისურვებთ თქვენც წარმატებით განახორციელოთ თქვენი ვალდებულებანი შვიდწლედის მესამე წელს და გთხოვთ კვლავაც განვაგრძოთ სოციალისტური შეჯიბრება.

უახლოეს ხანს, როგორც გავიგეთ, თბილისში გაიმართება ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი. სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო, თქვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობათა შორის ყოველთვის მოწინავე ყოფილიყოთ.

სასოფლო-სამეურნეო არტელის „ნ. ს. ხრუშჩოვის სამშობლოს“ კოლმეურნეთა დავალებით.

ვ. ბრაჩოვი,

სოციალისტური შრომის გმირი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

პირველი აგროქალაქისათვის

მოსკოვი, 4 თებერვალი. (საკდესი). პოდოლსკის რაიონში იწყება ჩვენს ქვეყანაში პირველი აგროქალაქის მშენებლობა, სადაც იცხოვრებენ მოსკოვის ოლქის უდიდესი საბჭოთა მეურნეობის „კომუნიზმის განთიადის“ მუშაკები. გათვალისწინებულია კაპიტალური კეთილმოწყობილი სახლებისა და კოტეჯების აშენება, რომლებსაც ექნებათ ცენტრალური გათბობა, წყალსადენი, გაზი.

ახლა დომოდედოვოსკის რაინბატონის ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივმა დაიწყო ბლოკების დამზადება აგროქალაქის სახლების საძირკვლისათვის. უახლოეს დღეებში რაინბატონის დეტალების პირველი პარტია გაეგზავნება სამშენებლო მოედანს. საწარმოში დაიწყო აგრეთვე მზადება საძირკვლისა და საკედლე შიდა პანელების, გადასახურავი ფიცრების, კიბის მარშებისა და მოედნების გამოსაშვებად.

სიყვარულს უმზერია



Сов. ИКП МК ЈАНВАР ПЛЕНУМУ ГӘРАРЛАРЫНЫН ЈЕРИНӘ ЈЕТИРИЛМӘСИ ШӘРӘФИНӘ

— რას ჩააცივდი ამ ძველ ტრაქტორს, აიღე და უტილს ჩაბარე! — რამდენჯერ გაუფრთხილებია დირექტორს იმბრალიევი. მექანიზატორი კი მაინც ფუხეს ითრევდა.

იმ დღეს კვირა იყო, სარდარიც ისვენებდა. მაგრამ გულმა ვერ მოუთმინა, მოინახულა ძველი მეგობარი, ერთხელ კიდევ ჩაუდგა სული.

როცა სარდარ იმბრალიევს უთხრეს, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გიბარებსო, ტრაქტორის მოტორს ჩაჰკარკიტებდა და არც კი უკითხავს სად უნდა მისულიყო — დირექციაში თუ უბნის უფროსის კაბინეტში, ნაბამბარ ველზე იმ პატარა შენობაში რომ იყო მოთავსებული, რომელსაც ტრაქტორისტებმა „უიალქნო ნავი“ შეარქვეს. მართლაც თვალუწვდენ ველზე მხოლოდ ეს ალიზით ნაშენი პატარა სახლი დგას და ვიაც მისთვის „უიალქნო ნავი“ დაურქმევია, უსიტყვოდ უნდა დავეთანხმოთ, განსაკუთრებით ეს იგრძნობა მაშინ, როცა ამ ორე-მარეს ბამბა ჯერ აამწვანებს, ხოლო შემდეგ გადაათეთრებს.

ჰო და... სარდარ იმბრალიევმა, როგორც კი ამოშავა ტრაქტორი, საჭე „უიალქნო ნავისაკენ“ შეაბრუნა, მოტორმა სამ-ოთხჯერ ისე ჩაახველა, რომ გამოცდილი მექანიზატორი კი არა, უბრალო ადამიანიც მიხვდებოდა, რომ მინქანის „ფილტვებში“ ყველაფერი რიგზე არ იყო.

ვინ მოსთვლის, რამდენი ჰექტარი მიწა მოუხნავს ამ ტრაქტორით სარდარ იმბრალიევს, პირველად საჭეს რომ მიუჯდა, რა ახალი და პრიალა იყო იგი, რა ღონიერი, მინდვრის ამ ნაპირზე თავს რომ დადგებდა, იმ ნაპირამდე ისე გაჭიმოთებდა, რომ დახველება რა არის, ამოსუნთქვასაც ვერ გაიგონებდით. მიჰქროდა, სარდარ იმბრალიევს ტრაქტორი, ბელტებს ბელტებზე აწვენდა... დროშას დროშაზე იღებდა... გზზეთებშიც ბევჯერ დაუბეჭდავთ თავის ახალგაზრდა მხედართან ერთად...

მაშინ სარდარმა რაღაც მძიმე მწუხარება შეამჩნია ასლანა ყარაულის სახეზე.

ახლა კი... სიბერე შეეპარა, მუხლებმა უმტყუნეს, სახე ნოეტებით დაეღარა, ერთი სიტყვით, დაბერდა, გული მაინც ეძახის... მერე რა, ცოტას გაირბენს თუ არა, ხელად ხველება აუტყდება, ქოშინს დაიწყებს, ფეხებს აურევს და დადგება, სარდარიც რაც შეეძლება ეფერება, უხანგრძლივებს სიცოცხლეს, „უტილში“ დასამარხავად ვერ იმეტებს.

იქნებ იმიტომ, რომ სარდარ იმბრალიევს მეტი მანქანა არა ჰყავს?! არა, ეს ახალგაზრდა ტრაქტორისტი აზერბაიჯანის სსრ მილის რაიონის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ნაჩეერი მექანიზატორია და ვინ არ გამეტებს მისთვის ახალ მანქანას, ბა, ძველ მეგობარს რომ დაყრდნობოდა, როგორ შეეძლო შარშან ყველაზე ადრე და უკეთესად მოეხნა 60 ჰექტარი მიწა, დაეთესა და მოეყვანა 189 ტონა ბამბა.

Совет. ИКП МК ЈАНВАР ПЛЕНУМУ ГӘРАРЛАРЫНЫН ЈЕРИНӘ ЈЕТИРИЛМӘСИ ШӘРӘФИНӘ

„იქნებ დამბეზღეს, რომ ძველ ტრაქტორს ვუკირკიტებ და დირექტორიც იმიტომ მიბარებს“ — გაიფიქრა სარდარმა, ნაღვლიანად გადაბედა ტრაქტორს და დაუმატა: „ახლა კი ვერას გიშველი, ჩემო მეგობარო! სხვა გზა არ არის, უნდა დავმორდეთ ერთმანეთს“.

დირექტორი „უიალქნო ნავში“ არ აღმოჩნდა. იქ მხოლოდ ღრმად მოხუცებული ასლანა ყარაული იჯდა ცეცხლისპირას და ბებერ ძვლებს ითბობდა. სარდარმა კარი რომ შეაღო, ყარაულმა ერთი მოიხედა, ცალა წამოდგომა, მაგრამ გულს ტანი არ აჰყვა, ასლანი ისევ სკამზე დაეშვა.

— ეგრძნობ, თანაშემწე ბაქოში წავიდა, შენობას უპატრონოდ ხომ არ დატოვებს. ცეცხლი გაუჩაღებია და მარჯვედ დგას თავის საგუშაგოზე... მართალია, ღონე არ ერჩის, მაგრამ გული ფოლადისა აქვს. ამა ვინ გაბედავს ცუდი თვალით შეხედოს მეურნეობის ქონებას, როცა ასლან ყარაული იქ არის, როცა მისი გული იქ ფეთქავს.

„არა, გადაწყდა, ცოცხალი თავით ჩემს ტრაქტორს უტილს არ ჩავაბარებ“, — თავისთვის დასასკვნა სარდარმა, გამოეშვიდობა ასლან ყარაულს, ჩაჯდა „მოსკვიჩში“ და საბჭოთა მეურნეობის დირექციისაკენ აიღო გეზი.

დირექტორი ტელეფონით ელაპარაკებოდა პარტიის რაიკომის მდივანს, როცა კაბინეტის კარი შეაღო სარდარ იმბრალიევმა.

დირექტორმა ტელეფონის მილი ჩამოკიდა და პირდაპირ სარდარისკენ გასწია, გაღიმა, ხელი ჩამოართვა.

— მომილოცავს, მოსკოვში მიდიხარ ბელნუმზე!...

ეს ისეთი მოულოდნელი რამ იყო ახალგაზრდა მექანიზატორისათვის, რომ სიხარულისგან ენა დაება, ადგილზე გაქვავდა, არ იცოდა რა ექნა, ხელში მაგრად ჩაბღუჯა შავი კრაველის ქუდი და უმოწყალოდ ჭმუნდა.

— ჰო და შენ იცი, როგორ გვასახელებ. იქ ბევრი მექანიზატორი იქნება, მოუსმენ, ესაუბრე. შემდეგ მათი გამოცდილება ჩვენთან გადმოიტანე... გზა მშვიდობისა!...

და აი სარდარ იმბრალიევი მოსკოვშია, კრემლში, ზის დიდ და ნათელ დარბაზში და ისმენს რა ხდება მის დიად სამშობლოში.

ტრიბუნაზეა ბამბის მოყვანის განთქმული ოსტატი თურსუნოი ახუნოვა...

— მე, — იხსენებს სარდარ იმბრალიევი, — შარშან ბამბის უხვი მოსავალი მივიღე, ავტომანქანა „მოსკვიჩით“ დამჯილდოვეს. ამიტომ მოსკოვში, პლენუმზე ამაყად, თავაწეული ვიჯექი. მაგრამ როგორც კი თურსუნოი ახუნოვამ ტრიბუნიდან თქვა: შარშან ჩემმა მანქანამ ერთ სეზონში 322 ტონა ბამბა აიღო— სამართლე გითხრათ, თავი ჩავიღუნე და ვიფიქრე, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა მესწავლა.

და მასწავლეს კიდეც, აბა სად შეიძლება იყოს იმაზე დიდი სკოლა, როგორც ჩემთვის იყო პარტიის ინვრის პლენუმი.

დავბრუნდი „ზერბაიჯანში“.

ასე მგონია ჩემზე ბედნიერი არავინ იყო დედამიწის ზურგზე.

ღამე, გული არ მიმთმენს, ვიღებ ტელეფონის მილს და ვურეკავ საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.

მესალმება. მეკითხება: „როგორ ვგრძნობ თავს?!“

— ცუდად, მაჯობეს!...

— ვიცი, ეს ამბავი გაზეთებმა ჩამოიტანეს. სხვის რას მეტყვი?

— სეზონში უნდა მივიღო 350 ტონა ბამბა, მორჩა და გათავდა! — მტკიცედ ვამბობ.

— ყოჩაღ, კარგია! — კვერს მიკრავს დირექტორი.

ისევე გავიმეორე მერე დღესაც საბჭოთა მეურნეობის მუშაკებთან შეხვედრაზე. ბიჭებმა მხარი ამიწყეს, გამომყვნენ შეჯიბრებაში.

„350 ტონა თეთრი ოქრო სეზონში“— ასე აწერია ახალგაზრდა მექანიზატორის სარდარ იმბრალიევის ტრაქტორს, ბამბის ასაღებ მანქანას, იმ ღამაზ თაღს, რომელიც თვალუწვდენელ, გადახნულ-გადაშავებულ მიდვრის თავზეა აღმართული.

იქვე თაღთან მდუმარედ დგას ძველი ტრაქტორი — სარდარის ყველაზე პირველი მეგობარი... შეჰყურებს მინდვრად მოჯირითე ახალი მარკის, ჯერ გაუხდენავ ტრაქტორებს. მათ მიერ გადაბრუნებული მიწის სურნელება გულს უხალისებს, ამხნევებს, ასე ჰგონია, საკმარისია მის ბებერ საჭეს მიუჯდეს სარდარ იმბრალიევი, რომ მუხლებში კვლავინდებურად ჩადგეს ცეცხლის ძალა და სამფა გუთნით შემოიბრინოს ბამბის ველი — ერთბაშად გადააშავოს თეთრი ოქროს სამფლობელო, შრომის სიყვარულს ისე ლამაზად რომ გაუშენებია და გაულამაზებია.

დგას მარტოდმარტო ეამგადასული ტრაქტორი, ამირიდან მის უტილში არ წაიღებენ, მეურნეობის დირექტორს საშუალო სკოლისათვის გადაუცია ეგი. სადაც მოვლენ კუდრაკა გოგონები, ონავარი ბიჭები, სკოლის ეზოში შეაგორებენ ნაამგარ ტრაქტორს, მილის რაიონში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პირველ მერცხალს, ენთამულით შემოჭვევიან, დაშლიან, რომ ისევ ააწყონ... სარდარი იქნება თავისუფალ დროს ამ ახალგაზრდებს, მომავალი მექანიზატორების მასწავლებელი.

ბ. თათარიშვილი,

აზერბაიჯანი, თებერვალი.

* * *

სურათზე: ს. იმბრალიევი.



მეგობრები ერთმანეთისაკენ სწავლობენ

ფოტოეგი მოგვითხრობენ



დახედეთ ამ სურათს: მარცხნივ რომ ზის, წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი გიორგი თინაშვილია, მარჯვნივ — სოციალისტური შრომის გმირი სახელგანთქმული ვორონეჟელი მექანიზატორი ნიკოლოზ მანუკოვსკი. შარშან წითელწყაროელი გიორგი თინაშვილი სტუმრად ეწვია მანუკოვსკის. ისინი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ, შეჯიბრების ხელშეკრულებას ხელს რომ აწერდნენ, ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ეს მომენტი აღბეჭდა.

★ ★

არხილოსკალო — ნოვაიაუსმანი

გიორგი თინაშვილი
ნიკოლოზ მანუკოვსკის

ბრძნულად არის ნათქვამი — მეგობრობამ მანძილი არ იცისო. დიდი მანძილის მიუხედავად, ხანგრძლივ ნაგვიანებრა და დაგვამეგობრა. ვორონეჟში ჩემი ყოფნის დღეები დაუვიწყარია. ბევრი რამ ახალი ვისწავლე თქვენი კომპლექსური ბრიგადის მუშაობიდან, ნასწავლი ჩემს მუშაობაში გადმოვიტანე და ახალ ნერგივით გავახარე. დავრწმუნდი, რომ კომპლექსური მექანიზაციის გზა ერთ-ერთი სწორი გზაა მოსავლიანობის გასაადიდებლად.

მე გულდასმით გავეცანი თქვენს მოწოდებას ქართველი მექანიზატორებისადმი და გადავწყვიტე მოგმართოთ წინადადებით გავაგრძელოთ სოციალისტური შეჯიბრება.

ვალდებულებას ვკისრულობ კომპლექსური მექანიზაციით წელს 250 ჰექტარი სიმინდისა და 150 ჰექტარი მზესუმზირას ნათესი ფართობი დავამუშავო, შარშანდელთან შედარებით სიმინდის მოსავლიანობას ჰექტარზე გავადიდებ ოთხმეტი ცენტნერით, მზესუმზირას ჰექტარზე მივიღებ 16 ცენტნერს, საშემოდგომო მარცვლეულს—21 ცენტნერს.

ჩვენი კოლმეურნეობის მექანიზატორები, რომლებსაც თქვენ კარგად იცნობთ, აგრეთვე პირადად მე გისურვებთ ახალ მიღწევებს მუშაობაში.

გიორგი თინაშვილი,

საქართველოს სსრ წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.

ნოვაიაუსმანი — არხილოსკალო

ნიკოლოზ მანუკოვსკი
გიორგი თინაშვილს

ქართველი ხალხი რომ მშრომელი და სტუმართმოყვარე ხალხია, ეს პირადად გამოვცადე მაშინ, როცა თქვენს სამშობლოში ვიყავი.

ერთი წელია, რაც ჩვენ ერთმანეთს ვეჯიბრებით. დრო თითქოს მცირეა, მაგრამ რამდენი რამ გაკეთდა ჩვენს ქვეყანაში! შვიდწლედის მეორე წელი დიდ მიღწევათა წელი იყო. ჩვენც შარშან კოლმეურნეობაში სათოხნი კულტურების მთელი ფართობი კომპლექსური მექანიზაციით დავამუშავეთ. ჰექტარზე მივიღეთ 180 ფუთი მარცვლეული და 35 ცენტნერი ნედლი ჩალა, კომპლექსური მექანიზაცია მოვაწყეთ მეღორეობის და მეძროხეობის ფერმებში.

ჩემი მეგობარო, მე თანახმა ვარ განვაგრძოთ სოციალისტური შეჯიბრება. ამოცანად დავისახოთ ყველგან, სადაც კი შეიძლება, შევცვალოთ ადამიანის შრომა მანქანით, გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, ნაკლები შრომითი დანახარჯებით მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებას.

ნიკოლოზ მანუკოვსკი,

ვორონეჟის ოლქის ნოვაიაუსმანის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

„თეთრი ოქროს“ სიუხვისათვის

ბამბა, „თეთრი ოქრო“, აუცილებლად საპირო ნედლეულია საფეიქრო მრეწველობისათვის.

მთავარი საშუალება, რომლითაც შეგვეძლია მივიღოთ ბამბის უხვი მოსავალი და შევამუშავებეთ კოლმეურნეთა შრომა, მექანიზაცია.

ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, კომპლექსური მექანიზაციის სატრაქტორო და მემინდვრეობის ბრიგადაა, იგი ძირითადი რგოლია კოლმეურნეობაში „თეთრი ოქროს“ მოსავლიანობის გასაადიდებლად.

შარშან ბრიგადაში საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 71 ცენტნერი ბამბა და მოსავლიანობის გეგმა 276 პროცენტით შევასრულეთ, სარეკორდო მოსავალი მოიყვანეს ბრიგადის წევრებმა ნ. თალიბოვამ, გ. ჯაფაროვამ, თ. მამედოვამ და სხვებმა. სეზონში ჰექტარზე 8-10 ტონა ბამბა აიღეს.

წელს უკეთ ვიმუშავებთ, მთელი ფართობი, რომელზეც ბამბა უნდა დავთესოთ, უკვე მოვახლინეთ. საკმაო რაოდენობით შევიტანეთ ნიადაგში ორგანული და მინერალური სასუქები.

ბრიგადის წევრებმა ვალდებულება ვიკისრეთ შვიდწლედის მესამე წელს 100 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მივიღოთ 80 ცენტნერი ბამბა. ამ ვალდებულებით გამომგზავნეს ჩვენმა კოლმეურნეებმა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე თბილისში.

ჩვენი ბრიგადა ნაკისრ ვალდებულებას პირნათლად შეასრულებს.

მ. გულიევა,

ალდამის რაიონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი.

ალაზნის ძმობილი

ალაზანი!..

ნახავთ და მოიხიბლებით. სილამაზით ჩაგწვავთ, აგანთებთ და ისე შეგიბურობთ, რომ წახვლა არ გინდათ, განშორება დაგეწანებათ.

ალაზანი!

თვითონ მღერის ეს მშვენიერი ქართული სიტყვა, მღერის და ისე ხმატკბილად ყღერს, როგორც მწყემსის სალამური ამ გაშლილ ველზე.

ველიო, ვთქვი, მაგრამ ზეწარივით გაშლილი, მოსაწყენი, ერთფეროვანი როდია იგი.

აქ, ისევე როგორც ყვავილნარში, ფერები ფერებს ცვლიან, ერთმანეთს ეხამებიან ზამთარ-ზაფხულს, წელიწადის ყველა დროში.

ჯერ არ მოსულა მხატვარი, რომ საქართველოს ამ წალკოტის შესაფერისი სურათი დაეხატა. მხოლოდ თვალი, ადამიანის თვალი იმახსოვრებს პეიზაჟების ცვალებადობას თვითონ ბუნების დახატულ მიდამოებში.

მაშინაც ლამაზი, წარმტაცია ალაზანი. როცა ველზე იპენტება სპეტაკი თოვლი. ირგვლივ სითეთრეა, შავ წერტილებად ჩანან აქა-იქ გაფანტული ბერმუხები.

გაიხედავ, და თუ მზიანი დღეა, შორით ბრწყინავს ცისა და მიწის შუა დაკიდული კავკასიონი, აქეთ კი ცივგომბორი.

მოდი და ნუ ამღერდები, როცა ლურჯად ჩანს ამ სითეთრეში მდინარე ალაზანი მისსავე ველზე. დუდუნით მიდის, ამაყობს ალბათ, რომ ვაზის დიდი ლაშქარა ამშვენებს ნაპირიდან გარეშემო სოფლებამდე, გორაკებიდან გორაკებამდე, მთებამდე...

კახეთის გულია ალაზანი. და ამ მადლიან გულში მუდამ სიცოცხლე, მჩქეფარება, სიხალისეა.

არაფერს ამბობს, უტყვია ხე. მაგრამ ამ სიცოცხლეს, ცხოვრების დუღილს ალბათ გრძნობენ მრავალ დრო-ჟამის მოწმე ბერმუხებიც, ახლა მყუდროდ, უფოთლოდ რომ დგანან ალაზნის ბარაქიან ველზე.

ზამთარია... მიდგივარ ველზე და ფიქრით წელიწადის დანარჩენ დროთა სურათებიც მეხატება. ყურში მეწვეთება ძველი სიმღერაც — შირაქში ერთმა მეცხვარემ...

...და თვალწინ მიდგას ტიალი ველი.

ეს შირაქია, ქართული პური, სიმინდისა და მზესუმზირას სამფლობელო.

ასე მგონია, ღალანებს ჭეჭილი, გაზაფხული მოსულა და კვლავ აუმწვანებია მამაპაპათა სისხლითა და ოფლით გაბოიერებული მიდამო.

ასე მგონია, პური დამწიფდა, უკვე აქარვისფერდა ყანა და ნელა მიცურავენ ოქროსფერ ზღვაში ჩვენი მინდვრის ხომალდები.

ასე მგონია, გორებად დახვავებულა ხორბალი და ისევ მოაქვთ ავტომანქანებს ახლადგალეწილი პური.

აგერ კიდევ დილადანვე გუგუნებენ სალეწი მანქანები, კონვეიერში ბრუნავს მარცვალი და ჩხრიალით ეშვება კალოზე...

იქვე ხელმარჯვე ქალები ტრიალებენ ფიწლით იღებენ ნამჯას, ზოგი კი მინდორ-მინდორ იბრება ხიარულში და ჩაწოლილ თავთავს იღებს მშობლიურ მიწიდან.

მაინც საიდან მოსულან ეს შავთვალწარბა, მზით შერუჯული ქალები, ქალიშვილები, ტალიკ-ტალიკი ბიჭები და ბრგე ვაჟკაცები?

— სოფელ ჯაფარიძიდან!

თითქოს ამას მეუბნება ნიავიც, და გულით მინდა ყველა ახლოს ვნახო, მათთან ვიყო, ვისაუბრო, ჭირი და ლხინი გავიზიარო.

აი შევედი კიდეც სოფელში.

ჯერ კიდევ შორიდან იქცევდა ყურადღებას ერთი კარგი მოზრდილი ორხართულიანი შენობა. ეს ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის კანტორაა. ქვემო სართული საუცხო კლუბს, ბიბლიოთეკას, დამხმარე სათავსებს უჭირავს. კედლებზე სურათები, წარმატებათა მაჩვენებელი დიაგრამებია.

აქ შტაბია, ახალი ცხოვრების განმტკიცებისათვის მებრძოლ ჯაფარიძელთა შტაბი. სხვიდან ოთახებში, ანგარიშობენ, გეგმებს სახავენ. იწერება ციფრები, ივსება ჟურნალები, რომელთა უკან მოქმედებენ, მოძრაობენ, დოვლათს ქმნიან და სამშობლოს ასახელებენ შრომისმოყვარე ადამიანები.

ერსიალდა „ზიმი“, მინდვრიდან დაბრუნდა კოლმეურნეობის უნარიანი მესვეური ნიკოლოზ ყოჩ-აშვილი, ადრეც მენახა და როგორც ძველი ნაცნობები, თბილად მივესალმეთ ერთმანეთს.

ატლეტური აგებულობის ვაჟკაცია ნიკოლოზი, ახოვანი, მხარეკეკიანი, ბირმრგვალი, შავგვრემანი. ახალგაზრდობის დროინდელი ფალავანი სანდრო კანდელაკი მომაგონდა, სურათებით რომ მინახავს წინათ.

ბმაც ვაჟკაცური, დარბაისლური, აჩქარებას ვერ შეატყობთ, დინჯად, დამჯერებლად გიპასუხებთ ყოველ შეკითხვაზე, როცა საუბარს გაგაბამთ.

ნ. ყოჩიაშვილი.

* * *

მოძრავსცენიანი კლუბიც აშენდებოდა. ორსართულიანი სახლები ახლა გასაყვირველი არ არის, თითქმის ყველას უდგას. ზემოთ საცხოვრებელი ბინები აქვთ, ქვემოთ კი მარანი, საკუნაო, სხვადასხვა საოჯახო სათავსი.

ეკითხავთ ალბათ, როგორ, რა საშუალებით მოიპოვეს კოლმეურნეებმა მთელი ეს სიმდიდრე და ბედნიერება. პასუხი ერთია — მუყაითი შრომით მეცხოველეობის ფერმებში, მინდვრებზე ბაღ-ვენახებში.

ჩვენც ეს გვინდოდა და ყურადღებით ვუსმინეთ ალაზნის ძმობილის საინტერესო თხრობას მშობლიურ სოფელზე, მის მოწინავე ადამიანებზე.

— ახალია ჩვენი სოფელი, ერთხანს სახელიც არ ჰქონდა. ოციოდე ქოხმახი, მიწური სახლი იდგა ამ ადგილას ძველთა, შრომობდნენ გლეხკაცები, მაგრამ სიღარიბეს მაინც არ უჩრდა ბოლო.

აბა ახლა ხომ ხედავთ, როგორ გაიზარდა. ვინ იფიქრებდა ოდესმე, რომ აქ

ინათა... შემდეგ მზე ისე ვაკაცურად აცურდა ცაზე, გაზაფხულის სტუმარი

გეგონებოდათ, აქა-იქ გორაკებზე მრმალულმა თოვლმა ბზინვა დაიწყო... დაიბადა კიდევ ერთი, დიადი შვიდწლედის ჩვეულებრივი დღე.

მაგრამ ამ ჩვეულებრივ დღეს საგარეჯოში ჰქონდა მაინც რაღაც უჩვეულო, განსაკუთრებული.

კოლმეურნეობა „საქართველოს“ გამგეების ორსართულიან შენობაში ადრიადან საანგარიშოები ანჩაკუნდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე გივი დუჩიძე მემინდვრეობის ბრიგადის წევრებს ეთათბირება...

— ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — ამბობს იგი, — გუშინ, ჩვენთან შეხვედრისას ბევრი ძვირფასი რჩევა მოგვცა. როცა შეიტყო, რომ 200 ჰექტარ ფართობზე ვაპირებდით სიმინდის ვიწრო მწკრივად თესვას, გვირჩია, სადაც კი რელიეფის დაქანება 15 გრადუსზე ნაკლებია, ყველგან კვადრატულ-ბუდობრივად დავთესოთ. ამასთან გვირჩია ისიც, რომ ცხვრის საკვებად გამოვიყენოთ სიმინდის ღეროღილი, ჩვენ კი მხოლოდ, როგორც კონცენტრატს, შვრიას ვვარაუდობდით, ამოცანა ის არის, რომ ახლა ყოველმხრივ გავადიდოთ სიმინდის ნათესები.

თავმჯდომარის სიტყვა ყველამ გაიგო. და განა თვითონ კი არ მოუსმინეს ამხანაგ ხრუშჩოვის სიტყვას?

— მოდი, გავანაწილოთ ნაკვეთები და შემდეგ ვნახოთ, ვინ მეტ მოსავალს მოიყვანს, — თქვეს ბრიგადირებმა.

საგარეჯოელები ფიქრობენ, ანგარიშობენ, ზრომობენ...

— მე რომ გუშინ ამხანაგი ხრუშჩოვი მესაუბრა, — თქვა სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა მალვა ტეტიაშვილმა, — მთელ ღამეს ვფიქრობდი, რა შეიძლება გავაკეთო? სათესი მანქანების რემონტი თითქმის დავამთავრეთ. სხვა მანქანა-იარაღების შეკეთებაც ამ ორ დღეში მთლიანად უნდა დავამთავროთ, ჩემი პირობა ასეთია — 80 ჰექტარ სიმინდის და 300 ჰექტარ მზესუმზირას ნათესი ფართობები მთლიანად კომპლექსური მექანიზაციით დავამუშაო, ხოლო ყოველ ჰექტარზე 70 ცენტნერი მარცვალი მოვიყვანო.

ახალგაზრდა კომუნისტმა ავთანდილ ქიოხოროშვილმა კი გადაწყვიტა, რომ 2 ჰექტარი სიმინდის ფართობი დაამუშაოს და ჰექტარზე საშუალოდ 120 ცენტნერი მარცვალი მოიყვანოს.

ბრიგადირები დილადანვე საქმეს შეუდგნენ...

განთიადიდან გვიან ღამემდე მინდვრად — „ხალაჯებში“ და „შიმშილაზე“ 20 თვითმცლელი მანქანა შეუსვენებლივ ეზიდებოდა ორგანულ სასუქებს, ერთ დღეში 200 ტონაზე მეტი გადამწვარი ნაკელი შეზიდეს სასიმინდე ნაკვეთებში.

— რა დღე დაადგა „შიმშილას“, — ოხუნჯობენ ავტომძღოლები ვახტანგ ჭიაურელი და ოთარ დარისპანაშვილი, — აი ნახავთ მალე, ისე გავაძღოთ სიმინდით, რომ სუნთქვა შეეკრასს...

ჯაუვიწყარი ფეხვეიდრის ფემდეგ

საგარეჯოელები ფიქრობენ, ანგარიშობენ, ზრომობენ...

ამ ბოლო ხანებში ბევრ ადამიანს ეკითხებოდა ეს კითხვა: ვინ ვინ ეყოლებოდა ამ ბოლო ხანებში ბედნიერ ოჯახებში ბავშვი, ბიჭი, ანუ ქალიშვილი.

**ეს ამბავი ბევრ ადამიანს ეკითხებოდა, ეს ამბავი ბევრ ადამიანს ეკითხებოდა, ეს ამბავი ბევრ ადამიანს ეკითხებოდა

ბოლოს და ბოლოს, ჩვენ უნდა გადავლახოთ ჩამორჩენა და ვისწავლოთ სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანა არა მარტო ცალკეულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, არამედ მთელ ფართობებზეც.

ნ. ს. ხრუშჩოვი.



ჩუუმქრალი კერა

ბედმა, ან უფრო სწორად — შრომითმა დიდებამ სამჯერ დააკავშირა კრემლის სასახლის დიდ დარბაზთან სომეხი მწველავის აშხენ ავეტისიანის სახელი. პირველად, როგორც პარტიის XXI ისტორიული ყრილობის დელეგატისა, მეორედ, როგორც ქალთა საერთაშორისო დღის დაწესების 50 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმის მონაწილისა, ს

საბჭოთა თანამგზავრებს
აღტაცებაში მოჰყავთ მსოფლიო

გამოხმაურება უცხოეთიდან

პეკინი, 5 თებერვალი. (საკდესი). ჩინელი ხალხი თავისი საბჭოთა ძმებისათვის უდიდესი აღტაცებითა და სიხარულით შეხვდა იმ ამბავს, რომ საბჭოთა კავშირში წარმატებით გაუშვეს დედამიწის ახალი გიგანტური ხელოვნური თანამგზავრი. საკდესის ცნობა იმის შესახებ, რომ სრულყოფილი მრავალსაფეხურიანი რაკეტის საშუალებით გაუშვეს დედამიწის მძიმე ხელოვნური თანამგზავრი, გვიან ღამე მოვიდა პეკინში.

სინხუას სააგენტომ მაშინვე გადასცა იგი რესპუბლიკის ყველა გაზეთის რედაქციებს. ცნობა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი დამჯერებელი უპირატესობის შესახებ — უდიდესი თანამგზავრის გაშვების შესახებ დღევანდელი დღის განმავლობაში არაერთხელ გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო რადიოსადგურმა (პეკინი), აგრეთვე ჩინეთის ყველა რადიოსადგურმა. პეკინის საღამოს გაზეთი „ბეიძინ ვანბაო“ პირველ გვერდზე დიდი სათაურით აქვეყნებს საკდესის ცნობას.

მე, როგორც აგრეთვე ყველა ადამიანი ჩინეთში, მხურვალედ მივესალმები დედამიწის ახალი საბჭოთა თანამგზავრის გაშვებას, თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში გაზეთ „ბეიძინ ვანბაოს“ თანამშრომელმა ამბ. ვანმა. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ იმას, რომ საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა ყოველთვის აკვირვებს მსოფლიოს თავისი თვალსაჩინო მიღწევებით. ახალი საბჭოთა ხომალდი თანამგზავრის უდიდესი წონა — 6483 კილოგრამი, ხაზი გაესვა ვანმა, გვანცვიფრებს და აღტაცებას იწვევს.

პარიზი, 5 თებერვალი. (საკდესი). საყოველთაო ყურადღების ცენტრშია ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირმა გიგანტი თანამგზავრი გაუშვა. პარიზის გაზეთები პირველ გვერდზე დიდრონი სათაურებით ბეჭდავენ ამ ცნობას, ამასთან ხაზს უსვამენ, რომ დედამიწის ახალი საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვება თვალსაჩინო მიღწევაა კოსმოსური სივრცის ათვისებაში.

„რუსებმა ორბიტაზე გაიყვანეს 6,5 ტონა წონის „გიგანტი“ — ასეთი სათაურით დაბეჭდა გაზეთმა „იურნალ დიუ დიმანშმა“ საინფორმაციო ცნობა საბჭოთა მეცნიერების ახალი ბრწყინვალე წარმატების შესახებ. გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალი საბჭოთა თანამგზავრის წონას და ურთულეს აპარატურას, რომელიც იქ დგას. თანამგზავრის წონასთან შესადარებლად გაზეთი ათავსებს ნახატს, რომელიც გამოსახავს ერთმანეთზე გადაბმულ 6 მსუბუქ ავტომანქანას. შეერთებული შტატები, წერს გაზეთი, „სულ ცოტა 3 წლით“ ჩამორჩნენ საბჭოთა კავშირს კოსმოსური რაკეტების კონსტრუირებისა და გაშვების დარგში.

გაზეთი „ლუმანიტე-დიმანში“ ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა თანამგზავრის ყველა ხელსაწყო მშვენივრად მუშაობს და უზრუნველყოფს მისი ფრენის დიდ სიზუსტეს.

„დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვება, — ნათქვამია ფრანს პრესის სააგენტოს კომენტარში, რომელიც გადაიცა ყველა ფრანგული გაზეთისათვის, რუსული რაკეტების „ძლიერების ახალი დემონსტრაციაა. ეს გაშვება ცხადყოფს რუსების აშკარა უპირატესობას ამ დარგში შეერთებული შტატების წინაშე“.

საფრანგეთის რადიოს დილის პირველსავე გადაცემებში მილიონობით რადიომსმენელს აცნობეს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის შესანიშნავი მიღწევა.

ლონდონი, 5 თებერვალი. (საკდესი). ცნობამ მორიგი საბჭოთა თანამგზავრის წარმატებითი გაშვების შესახებ უაღრესად ცხოველი ინტერესი გამოიწვია აქ. „დიდი ახალი ამბავი რუსეთიდან“, რაც გუშინ ლონდონის რადიომ და ტელევიზიამ გადასცეს, რამდენიმე წუთში მოედო მთელ ინგლისს.

„ეს გაშვება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ რუსები კოლოსალურ ღონისძიებებს ახორციელებენ, რათა მოაწყონ კოსმოსში ადამიანის გაფრენა“, — განაცხადა „ობზერვერ ბენკის“ ობსერვატორიის დირექტორმა პროფესორმა ლოველმა. ამავე ობსერვატორიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სპეციალისტები უახლოეს დღეებში მოახდენენ დაკვირვებას საბჭოთა თანამგზავრისადმი.

პრეს ასოშიეიშნის სააგენტოს მეცნიერმა მიმომხილველმა სსრ კავშირში ახალი ხელოვნური თანამგზავრის გაშვება დაახასიათა როგორც კოლოსალური.

ბუდაპეშტი, 5 თებერვალი, (საკდესი). „საბჭოთა კავშირში გაუშვეს ბუმბერაზი თანამგზავრი 6,5 ტონა წონისა“ — მსხვილი შრიფტით აწყობილი ეს სათაური გამოირჩევა ბუდაპეშტის ყველა დღევანდელი გაზეთის პირველ გვერდზე. „ნეპსაბადშაგი“ წერს ახალი თანამგზავრის გაშვებაზე, როგორც საბჭოთა მეცნიერების ახალ უმაგალითო წარმატებაზე. გაზეთი აღტაცებას გამოთქვამს თანამგზავრის წონის გამო, რომელიც „აჭარბებს ყოველგვარ ფანტაზიას“.

პირველი საბჭოთა თანამგზავრის გაშვების შემდეგ, წერს გაზეთის მოსკოველი კორესპონდენტი იშტვან საბო, მხოლოდ 3 წელი და 4 თვე გავიდა. ახლანდელი მძიმე თანამგზავრის წონამ კი თითქმის 80-ჯერ გადააჭარბა პირველის წონას. საბჭოთა რაკეტულმა ტექნიკამ ახალი სასწაული მოახდინა. კოსმოსში აიტანეს 6,5 ტონა! ეს შვიდი „მოსკვიჩის“ ავტომობილის წონაა. ასეთი მაგალითი, წერს კორესპონდენტი, იმის თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა, თუ რა უდიდეს მიღწევაზეა ლაპარაკი.

საბჭოთა რაკეტული ტექნიკა, ხაზს უსვამს „ნეპსაბადშაგი“, თავის თავს ეჯიბრება. მას მთელ მსოფლიოში არ მოეპოვება შეჯიბრების პარტნიორი.

ნიუ-იორკი, 5 თებერვალი. (საკდესი). დედამიწის საბჭოთა ახალი დიდი თანამგზავრის გაშვება იპყრობს ყველა დღევანდელი დილის გაზეთის ყურადღებას. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ პირველ გვერდზე ბეჭდავს ცნობას თანამგზავრის გაშვების შესახებ ორ სვეტზე გადაჭიმული სათაურით „რუსეთმა ორბიტაზე გაიყვანა 7-ტონიანი თანამგზავრი. ახალ მრავალსაფეხურიან რაკეტას გაჰყავს ყველაზე დიდი ხელოვნური მთვარე; შეერთებული შტატები თვალყურს ადევნებენ მას“.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსს“ კვირეულ მიმოხილვაში მოჰყავს პრეზიდენტ კენედის წერილის სიტყვები, რომ სსრ კავშირი „ორბიტაზე დიდი თანამგზავრების გაყვანის უნარით წინ არის“, და წერს: „კვირის დამლევისათვის ამ შეფასებამ სენსაციური დადასტურება მიიღო, გუშინ რუსეთმა გამოაცხადა, რომ მან ორბიტაზე გაიყვანა 14.000 გირვანქა წონის თანამგზავრი“.

ტოკიო, 5 თებერვალი. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა სსრ კავშირში ახალი ხელოვნური თანამგზავრის გაშვებას, გაზეთი „მაინიჩი“ მოაგონებს მკითხველებს საბჭოთა კავშირის მიერ კოსმოსის ათვისების ისტორიას და ხაზს უსვამს, რომ ამჯერად უმაღერო სივრცეში გაშვებულია ყველაზე მძიმე თანამგზავრი.

კიოდოს სააგენტოს მეცნიერი კომენტატორი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მეცნიერები ახორციელებენ სკრუპულოზურ მზადებას კოსმოსში ადამიანის კოსმოსური გაფრენისათვის, კომენტატორი ხაზს უსვამს, რომ თანამგზავრი განსაკუთრებული სიზუსტით გავიდა დათქმულ ორბიტაზე.

ბონი, 5 თებერვალი. (საკდესი). „ორბიტაზეა 6,5 ტონა წონის თანამგზავრი“, „ექვსი ტონა წონის თანამგზავრი გაშვებულია“ — დასავლეთ გერმანიის პრესა ასეთი სათაურებით იუწყება დღეს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ შესანიშნავ გამარჯვებას.

დპა-ს სააგენტო თანამგზავრის გაშვების შესახებ ცნობაში ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირმა კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი დასძლია ადამიანის მიერ კოსმოსის ათვისების საქმეში. „შეიძლება არავითარი ეჭვი არ იყოს, — ნათქვამია სააგენტოს ცნობაში, — რომ საბჭოთა მეცნიერებმა ამ გაშვების შედეგად კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს კოსმოსში ადამიანის გასაფრენად“.

ოვალი მცირე ხნის სტუმარი იყო სიღნაღელებისათვის, ახლა იგი მხოლოდ ალაზნის ველს იქით გაწოლილ ჭალარა კავკასიონსა და ახლომახლო მთებსღა შემორჩა. დაბლა კი მზის სხივებმა სულ დაადნო. ბაერში ზამთრის სუსხი მაინც იგრძნობა, მაგრამ ეს ვერ აკავებს საკლასო ოთახებში სიღნაღის საშუალო სკოლის მოსწავლეებს. ისინი მხიარულად დანავარდობენ სკოლის ეზოში.

აგერ ლამზირა კუსრაშვილი, ნეტავ რაზე ესაუბრება თანაკლასელებს, ასე გულიანად რომ იცინის თვითონაც და კისკისებენ მისი მეგობრებიც?

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

კაპიტან კონგ ლეს ინტერვიუ

ბერლინი, 4 თებერვალი. (საკდესი). კაპიტანი კონგ ლე — ლაოსის მთავრობისა და პატეტ-ლაოს ჯარების ეროვნული სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე — მიესალმა პრინც სუვანა ფუმის წინადადებას საერთაშორისო კონფერენციის მოწყობის შესახებ ლაოსის საკითხზე და მხარი დაუჭირა იმას, რომ განახლდეს ლაოსის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიის საქმიანობა. მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნა მან, კომისიამ უნდა ითანამშრომლოს მხოლოდ პრინც სუვანა ფუმას კანონიერ მთავრობასთან. კაპიტანმა კონგ ლემ ეს განცხადება გააკეთა ადნის კორესპონდენტთან საუბარში.

ამჟამად, განაცხადა კონგ ლემ, ჩვენ ვცდილობთ სწრაფად და საფუძვლიანად განვამტკიცოთ ჩვენი შეიარაღებული ძალები, რათა მივაღწიოთ პატრიოტული ძალების გამარჯვებას მთელ ლაოსში. ჩვენ კმაყოფილი ვართ იმით, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ლაოსის მოსახლეობას მის სამართლიან ბრძოლაში ნეიტრალიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

კაპიტანმა კონგ ლემ აღნიშნა, რომ ლაოსის სამეფო მთავრობის ჯარები ამჟამად იბრძვიან პატეტ-ლაოს ნაწილებთან ძმური ერთიანობით. მე ვიცნობ პრინც სუფანუვონგს როგორც ჩვენი ქვეყნის მშვიდობისა და ნეიტრალიტეტის მგზნებარე მომხრეს.

კაპიტანმა კონგ ლემ აღნიშნა, რომ ძლიერდება უცხოეთის — სეატოს წევრი ქვეყნების — ჩარევა ლაოსის საქმეებში. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მტრის მიერ დაკავებული რაიონების მოსახლეობის უმრავლესობა კანონიერი თავრობისა და მისი შეიარაღებული ძალების მხარეზეა. ბევრი პარტიზანი, რომლებიც იმ რაიონებში მოქმედებენ, მნიშვნელოვან ზარალს აყენებს მტერს.

ქარბუქი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 5 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი **გ. ვასილიევი** იტყობინება: „1960-1961 წლების ზამთრის მოგონება ნიუ-იორკელებს ძრუანტელს მოჰგვარის“, — წერენ გუშინდელი გაზეთები. მართლაც, დეკემბერი, იანვარი და თებერვლის დამდეგი აქაური ადგილებისათვის სუსხიანი იყო. როგორც მცოდნენი აღნიშნავენ, 1881 წლის შემდეგ პირველად ნიუ-იორკში 15 დღეზე მეტია ზედიზედ ტემპერატურა მინუსს აღწევს. ამას ემატება ხშირი თოვლი.

უკვე თითქმის დღეღამეა ქალაქი გაჩაღებულია თოვლის თეთრ საბურველში. დღეს დილისათვის თოვლის სისქემ 25 სანტიმეტრს მიაღწია. ქუჩების ნაპირებთან გაჩერებულია ავტომანქანები. ნელა მოძრაობენ ცალკეული ავტომანქანები.

მესამე თოვლის შტორმი თავს დაატყო ნიუ-იორკს და მოიდო ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს ვრცელ რაიონებს. თოვლს მან ახლავს ძლიერი ქარი, რომელიც 80 კილომეტრ სიჩქარეს აღწევს საათში. გზებზე გაჩერებულია ასობით ავტომანქანა. დაირღვა რკინიგზის ტრანსპორტის მოძრაობა. ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, პიტსბურგში, ფილადელფიაში გაადიდო თვითმფრინავების რეისები. ნიუ-იორკის ნავსადგურის მისასვლელთან ცუდი ხილვადობის პირობებში ერთმანეთს დაეჯახა ორი სავაჭრო გემი — ამერიკისა და ნორვეგიის გემები. ნამქერის შედეგად დაიღუპა 35 კაცი.

ამერიკა ზრდის სამხედრო შეკვეთებს

ნიუ-იორკი, 5 თებერვალი (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანი“ წერს, იმ საფინანსო წლის პირველ ხუთ თვეში, რომელიც 1961 წლის 30 ივნისს დამთავრდება, თავდაცვის სამინისტროს კონტრაქტებით თვითმფრინავების, რაკეტების, გემების, საარტილერიო ქვემეხების, ელექტრონული ხელსაწყოებისა და სხვა საგნების შესაძენად 5,9 მილიარდი დოლარი დახარჯება, რაც 21 პროცენტით აღემატება 1960 საფინანსო წლის შესაბამისი პერიოდის ძირითად ხარჯებს.

ყველა ნიშნის მიხედვით, წერს გაზეთი, თავდაცვის შეკვეთები 1961 წელს სულ ცოტა 15 პროცენტით გაიზრდება.

დემონსტრაცია ჯელ-ავივში

ტელ-ავივი, 5 თებერვალი. (საკდესი). დღეს შენობის მახლობლად, სადაც ისრაელის მმართველი პარტიის მაპაის ხელმძღვანელობის სხდომა მიმდინარეობდა, გაიმართა სტუდენტთა დემონსტრაცია, რომელიც მოითხოვენ არ დაემორჩილონ ბენ-ჭურიონის დიქტატს. დემონსტრაცია გამოიწვია მაპაის პარტიის ცენტრალური კომიტეტის იმ გადაწყვეტილებამ, რომ დაამყაროფილონ ბენ-ჭურიონის მოთხოვნა ლავონის გადაყენების შესახებ „გისტადრუტის“ (ევროპელ მუშათა საყოველთაო ფედერაცია) გენერალური მდივნის პოსტიდან.

ლავონის გადაყენებით ბენ-ჭურიონს სურს გაიკაფოს გზა ახალი მთავრობის შესაქმნელად.



დე გოლი: — რა გინდა გამოხვიდე, როცა გაიზრდები?

მარიანა: — კარგი იქნება, თუ ცოცხალი დავრჩი.

ნახატი ფრანგული გაზეთიდან „ოზ ეკუტი“.



მოსავლის აღება.

ნახ. ბ. დიმოვსკისა („სტრშელი“, ბულგარეთი).

ამინდი

7 და 8 თებერვალს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სანაპირო რაიონებში ალაგ-ალაგ ნალექი, ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2-7, დღისით 10-15 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 2-7 გრადუსი ყინვა, დღისით 2-7 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2-7 გრადუსი ყინვა, დღისით 4-9 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 5-10 გრადუსი ყინვა, დღისით 1-6 გრადუსი სითბო.

ამერიკელი ბიბლიოთეკა

ქართული პოლიტიკა

მოედნებსა და დარბაზებში

სსრ კავშირის 1961 წლის პირველობის გათამაშების დებიუტანტი — თბილისის „ბურევესტნიკის“ ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი წარმატებით გამოდის ჩემპიონატში. გუშინ თბილისელები ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში შეხვდნენ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის (მაი) სპორტსმენთა კოლექტივს და მორიგი გამარჯვება მოიპოვეს ანგარიშით 3:0. (15:10, 16:14, 15:13). ამრიგად, „ბურევესტნიკის“ გუნდმა დღემდე გამართული სამი თამაშიდან სამივე მოიგო.

გუშინ ჰელსინკში დამთავრდა ევროპის პირველობის გათამაშება ჩქაროსნულ ციგურაობაში ვაჟთა შორის. 4 თებერვალს მოეწყო რბოლა 500 და 5.000 მეტრზე. პირველ დისტანციაზე უძლიერესი იყო საბჭოთა სპორტსმენი ე. გრიშინი, რომელმაც მანძილი დაფარა 42,3 წამში, ხოლო მეორეზე—ვ. კოსიჩკინი (სსრ კავშირი, 8 წუთი და 17,4 წამი). გუშინ გაიმართა უკანასკნელი შეხვედრები. ყველაზე რთულ დისტანციაზე 10.000 მეტრზე რბოლაში გამარჯვება კვლავ კოსიჩკინს ხვდა. მან გაიმარჯვა აგრეთვე მრავალჭიდში და ევროპის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

გრძელდება შეჯიბრება კალათბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. გუშინ თბილისის დინამოელები ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში შეხვდნენ კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის სასპორტო კლუბის გუნდს. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ 33:31. შეჯიბრების მეორე ნახევარში, როდესაც თამაშის დამთავრებას მხოლოდ 37 წამი აკლდა, დინამოელებმა უხეში შეცდომა დაუშვეს, ორი ბურთი ჩააგდებინეს მეტოქეს კალათში და მატჩი წაიგეს ანგარიშით 65:66. ეს დინამოელთა მეორე დამარცხებაა ზედიზედ საკუთარ მოედანზე.

ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატში ჩვენი რესპუბლიკიდან გამოდის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა კოლექტივი. მორიგი ასპარეზობა ჩვენმა კალათბურთელებმა გამართეს კიევში ადგილობრივი „დინამოს“ წინააღმდეგ. შეჯიბრების პირველი ნახევარი ხასიათდებოდა მძაფრი ბრძოლით და დამთავრდა საქართველოს კალათბურთელთა გამარჯვებით 25:23. მეორე ტაიმში ინიციატივა მეტწილად თბილისელთა მხარეზე იყო. მათ გაიმარჯვეს საერთო ანგარიშით 47:40.

გუშინ მოსკოვის ცენტრალურ საჰადრაკო კლუბში მოეწყო ჩვენი ქვეყნის XXVIII საჰადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელ ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება. ბრძოლის განუახლებლად შტეინი დანებდა ფურმანს, ტარასოვი ბორისენკოს, ხოლო გუფელდი და სმისლოვი ყაიმზე შეთანხმდნენ. სიმაგინმა მოუგო სპასკის, ბოლესლავსკიმ — ბორისენკოს, პეტროსიანმა—პოლუგაევსკის, კორჩნოი—ავერბახის, ჩერეპკოვ-გელერის, ფურმან-ჩერეპკოვისა და შტეინ-გუფელდის პარტიები ყაიმით დამთავრდა. 16 ტურის შემდეგ წინ არის პეტროსიანი, რომელსაც 11,5 ქულა აქვს. დღეს რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში გაიმართება მორიგი მე-17 ტური.

მალე თბილისში საგასტროლოდ ჩამოვა ვოკალისტთა მსოფლიო კონკურსების ლაურეატი, პოლონეთის სოპერო სცენის საუკეთესო მომღერალი გალინა სლონევსკა. სპეციალისტების აზრით, აიდასა და ლიზას („პიკის ქალი“) პარტიების ევროპულ შემსრულებელთა შორის იგი ერთ-ერთი საუკეთესოა. ჩვენი ქვეყნის მსახიობები, რომლებსაც პოლონეთში ყოფნის დროს მოუსმენიათ მისთვის, მაღალ შეფასებას აძლევენ გალინა სლონევსკას ვოკალურ ნიჭს.

1958 წელს გალინა სლონევსკამ მიიღო პოლონეთი კოპოზიტორის მონიუშკოს სახელობის პირველი პრემია და გაემგზავრა იტალიაში ხელოვნების შემდგომი სრულყოფისათვის. იტალიიდან დაბრუნების შემდეგ გალინა კვლავ პირველ ადგილს იკავებს კონკურსში და მას იწვევენ ვარშავის სახელმწიფო სოპატრში პრემიერად.

თბილისში გალინა სლონევსკა იმღერებს 15 თებერვალს „აიდაში“ — აიდას პარტიას და 17 თებერვალს „ფაუსტში„ — მარგარიტას პარტიას.

სურათზე: გალინა სლონევსკა.

ოთხლის გამოფენა

იანვრის დღეა. მზე უხვად აფრქვევს სხივებს, თითქოს გაზაფხულიაო. ქვეშხეთის **საბჭოთა** მეურნეობის **მუშაკები** გასული **არიან** **სამუშაოდ** მინდვრებში, ზვრებში, ბაღებში. **უცებ** ბაღის ბოლოს ერთი **კიუინა** **და** ხმაური **გაისმა:** — **შველი, შველიო. ერთი** წუთის **შემდეგ** ტყის **დედოფალმა** ვენახებს **ნიავ-ქარიანით** **ჩაუქროლა,** **მეურნეობის** ფერმის **თივის** ზვინებთან **მიიჭრა** **და** ხასხასა **სურნელოვან** **თივას** **მადიანად** **დაუწყო** ჭამა. **ბავშვები** **გაკვირვებით** **უყურებდნენ** ცხოველს.

— **შველი!** — **კიდევ** **დაიძახა** ვიღაცამ **და** ცხოველიც **დაფრთხა.** **იქით** **ეცა,** **აქეთ** **ეცა,** **მაგრამ** **თოვლმა** **ხელი** **შეუშალა** **გაქცეულიყო.** **ბოლოს** **ქვეშხეთის** **საბჭოთა** **მეურნეობის** **მუშამ** **ბეჟან** **სინეგუბოვმა** **დაიჭირა** **და** **იმავე** **დღეს** **ხაშურის** **რაიმონადირეთა** **კავშირის** **მუშაკებს** **ჩააბარა.**

გ. დარსაველიძე.

ბედნიერი დედა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისში მცხოვრებ თამარ გელაშვილ-კუბიანიძეს, **რომელმაც** ქალაქის **მეორე** **სამშობიარო** **სახლში** **მოიმშობიარა,** **დაებადა** **სამი** **ქალიშვილი.** **ახალშობილნი** **ნორმალური** **წონისა** **და** **სიდიდის** **არიან** **და** **ნორმალურად** **იზრდებიან.**

ახლა **თ. კუბიანიძე** **ხუთი** **შვილის** **დედაა** — **ორი** **ვაჟისა** **და** **სამი** **ქალიშვილისა.**

ოვლს გამოეცა

ბერლინი, 4 თებერვალი. (საკდესი). კაპიტანი კონგ ლე — ლაოსის მთავრობისა და პატეტ-ლაოს ჯარების ეროვნული სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე — მიესალმა პრინც სუანა ფუმის წინადადებას საერთაშორისო კონფერენციის მოწყობის შესახებ ლაოსის საკითხზე და მხარი დაუჭირა იმას, რომ განახლდეს ლაოსის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიის საქმიანობა. მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნა მან, კომისიამ უნდა ითანამშრომლოს მხოლოდ პრინც სუვანა ფუმას კანონიერ მთავრობასთან. კაპიტანმა კონგ ლემ ეს განცხადება გააკეთა ადნის კორესპონდენტთან საუბარში.

ამჟამად, განაცხადა კონგ ლემ, ჩვენ ვცდილობთ სწრაფად და საფუძვლიანად განვამტკიცოთ ჩვენი შეიარაღებული ძალები, რათა მივაღწიოთ პატრიოტული ძალების გამარჯვებას მთელ ლაოსში. ჩვენ კმაყოფილი ვართ იმით, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ლაოსის მოსახლეობას მის სამართლიან ბრძოლაში ნეიტრალიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

კაპიტანმა კონგ ლემ აღნიშნა, რომ ლაოსის სამეფო მთავრობის ჯარები ამჟამად იბრძვიან პატეტ-ლაოს ნაწილებთან ძმური ერთიანობით. მე ვიცნობ პრინც სუფანუვონგს როგორც ჩვენი ქვეყნის მშვიდობისა და ნეიტრალიტეტის მგზნებარე მომხრეს.

კაპიტანმა კონგ ლემ აღნიშნა, რომ ძლიერდება უცხოეთის — სეატოს წევრი ქვეყნების — ჩარევა ლაოსის საქმეებში. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მტრის მიერ დაკავებული რაიონების მოსახლეობის უმრავლესობა კანონიერი თავრობისა და მისი შეიარაღებული ძალების მხარეზეა. ბევრი პარტიზანი, რომლებიც იმ რაიონებში მოქმედებენ, მნიშვნელოვან ზარალს აყენებს მტერს.

ცვლილებანი თურქეთის მთავრობაში

ანკარა, 4 თებერვალი. (საკდესი). დღეს თურქეთის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურმა გენერალმა ჯემალ გიურსელმა განაზორიელა ცვლილებანი თურქეთის მთავრობის შემადგენლობაში, აღადგინა პრემიერ-მინისტრის მოადგილის პოსტი, რომელიც გაუქმებული იყო ამა წლის 4 იანვარს. პრემიერ-მინისტრის მოადგილის პოსტზე დანიშნულია შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი გენერალი იჰსან ყიზილოღლუ, რომელიც ამავე დროს იქნება სახელმწიფო მინისტრი. შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულია ნასირ ზეიტინოღლუ, რომელიც მანამდე სახელმწიფო მინისტრი იყო. ამას გარდა, გზათა მინისტრი ორხან მერსინლი ამავე დროს დაიკავებს რეკონსტრუქციის მინისტრის პოსტს, რომელიც განთავისუფლდა ფეზმი იაკუზის გადადგომის შედეგად.

შაგიამნის მიღების ახალი მეთოდი

ფართოდ იყენებენ სპილენძსა და შაბიამანს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. საქართველოში სპილენძის სულფიდური მადნის მძლავრი საბადოები გვაქვს, მაგრამ მათი საქარხნო წესით გადამუშავება ჯერ არ წარმოებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ პ. გოგორიშვილის ხელმძღვანელობით არაორგანული ქიმიის ლაბორატორიის მეცნიერმა მუშაკებმა ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატებმა ჰ. კუპერმანმა, ა. გონგლიაშვილმა, უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ნ. ზარქუამ დაამუშავეს მადნეული სპილენძის სულფიდური მადნიდან შაბიამნისა და ლითონური სპილენძის მიღების ავტოკლავური მეთოდი.

ამ მეთოდს აქამდე ცნობილ პირომეტალურგიულ მეთოდთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ გაცილებით მარტივია და შაბიამნის მისაღებად არ ესაჭიროება ლითონური სპილენძისა და გოგირდის მქავის გამოყენება. ეს ნედლეული კი საქართველოში არ არის და ის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან შემოაქვთ.

ინსტიტუტის

ინსტიტუტის არაორგანული ქიმიის ლაბორატორიაში წარმოებული ცდების შედეგად მიღებული მონაცემები შემოწმდა და დაზუსტდა ლენინგრადის ინსტიტუტ „გიპრონიკელის“ გამსხვილებულ დანადგარებზე.

მიღებული შედეგები ადასტურებენ, რომ მადნეული სპილენძის მადნის ავტოკლავური მეთოდის გამოყენებით ჩვენი ქვეყანა ათეულ მილიონობით მანეთ ეკონომიას მიიღებს. ამავე დროს ჩვენი სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფილი იქნება შაბიამნით და კრეკნება საკუთარი ლითონური სპილენძის წარმოება.

საველე მაცივარი

ოდესა. (საკდესი). საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმებისათვის ორიგინალური მაცივარი დანადგარი შექმნეს და დაამზადეს ოდესის სტალინის სახელობის სამაცივრო მანქანათმშენებლობის ქარხანაში. ერთ საათში იგი აცივებს ტონა ცხელ რძეს 6-8 გრადუს ტემპერატურამდე.

მანქანა სავსებით მექანიზებულია, დიდი არ არის ზომითა და წონით. ყოველნაირი საკოლმეურნეო ტრანსპორტით შეიძლება მისი გადატანა საზაფხულო მეცხოველეობის ბანაკებში, საძოვრებზე, სადაც განსაკუთრებით გამოსადეგია. დანადგარს შეუძლია გაციოს 400 ძროხის მთელი დღეღამის ნაწველი და საშუალებას იძლევა რძე მისაღებ პუნქტებს ჩაკაბაროთ უმაღლესი ხარისხით, რაც გაადიდებს კოლმეურნეობათა ფულად შემოსავალს.

წელს ქარხანა გამოუშვებს 1.200 ასეთ მანქანას. საწარმოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა აგრეთვე დაამზადოს 25 დანადგარი დავალების გადამეტებით დაზოგილი მასალებისაგან.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა წარმატება

მოსკოვი, 4 თებერვალი, (საკდესი). ჰავანიდან იუწყებიან, რომ კუბაში უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს გამოსვლები საბჭოთა ტანმოვარჯიშეებისა, რომლებიც ახალგაზრდა რესპუბლიკაში მიიწვიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობის შემდეგ. ჰავანისა და სანტ-იაგოს მშრომელებმა, სადაც საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა უკვე ცხადყვეს თავიანთი ოსტატობა, აღტაცებით მიიღეს სსრ კავშირიდან ჩასული სტუმრები — ლ. ლატინინა, ა. აზარიანი, თ. ლიუხინა, ვ. კირდემელიდი და ჩვენი სხვა გამოჩენილი სპორტსმენები.

2 თებერვალს საბჭოთა ტანმოვარჯიშეები გამოდიოდნენ რესპუბლიკის დედაქალაქში. დამსწრეთა შორის იყვნენ კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი, კუბის მთავრობის წევრები, აგრეთვე სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კუბაში ს. მ. კუდრიავცევი და მთელი რიგი სხვა ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

კუბის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობას, მაგალითად, გაზეთი „რევოლუსიონი“ წერს, რომ საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა მშვენივრად ცხადყვეს, თუ რა არის სიმარდე, სიკოხტავე, მოქნილობა. ისინი სრულყოფილად არიან დაუფლებული ყველა ტანვარჯიშულ იარაღს“.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

ონი. (საკ. კორ.). რაიონს მხარეთმცოდნეობის შესანიშნავი მუზეუმი აქვს. ყურადღებას იპყრობს ქვისა და ბრინჯაოს ხანის ნივთების სამრავლე. კარგად არის ნაჩვენები რაჭული ფოლკლორი და ყოფაცხოვრება. საინტერესოა რევოლუციის პერიოდის ექსპონატები.

ამ დღეებში აქ გაიხსნა გამოფენა — „საბჭოთა პეტიციის რაჭა“, რომელიც შესანიშნავად ასახავს ამ კუთხის კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებას 40 წლის მანძილზე. დიაგრამები, ფოტოსურათები და წერილობითი დოკუმენტები მნახველებს მოუთხრობენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობაზე, მშრომელთა დიდ მიღწევებზე კომუნიზმის მშენებლობაში.

ახალი გამოფენა რაიონის ბევრმა მშრ